პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 149 (12357) | ოთხშაბათი, 27 ივნისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულმხურვალედ მიესალმება თავის მებრძოლ ორგანოს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მისი სახელოვანი 40 წლისთავის დღეს და რედაქციის კოლექტივს, გაზეთის მუშა და სოფლის კორესპონდენტებს უსურვებს წარმატებებს შემდგომ მუშაობაში.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ყოველთვის იყო და არის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ერთგული თანაშემწე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის, ლენინური იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მასების შეკავშირებისა და აღზრდისათვის ბრძოლაში.

ახლა, როცა სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა მთელმა საბჭოთა ხალხმა გაშალა გიგანტური ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის განსახორციელებლად, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მთავარი და საპატიო ამოცანაა ფართო პროპაგანდა გაუწიოს XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის ახალ პროგრამას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, აღზარდოს მაღალი კომუნისტური მორალის ადამიანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა პრესის პარტიულობისა და მასობრიობის ლენინური ტრადიციების ერთგული გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ კვლავაც იქნება პარტიის საიმედო თანაშემწე ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სახელოვანი საბრძოლო გზა

ЗАРЯ ВОСТОКА

საქართველოს მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საყვარელი გაზეთის ორმოცი წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სადამი, რომელიც 26 ივნისს გაიმართა შ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ი. რთველიაშვილი და მ. გოგიჩაიშვილი, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, სტუმრები — ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთების წარმომადგენლები.

საზეიმო საღამო გახსნა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა ამხ. ი. ჩხიკვიშვილმა. მან მიმართა შეკრებილთ და თქვა:

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 40 წლისთავს. რომ შეიძლებოდეს 40 წლის მანძილზე გამოსული ყველა გაზეთის გაშლა ერთ მწკრივად, ჩვენს წინაშე გადაიშლებოდა ძნელი, ეკლიანი და გრძელი გზა, სულ უფრო აღმავალი გზა, რომელიც საქართველომ განვლო ამ წლების მანძილზე.

ამ ფურცლებზე ჩვენ დავინახავდით იმ დიადი და სასტიკი ბრძოლის გამოსახულებას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აწარმოებდნენ ლენინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების გამარჯვებისათვის დედამიწაზე. და ბრძოლისა და შრომის მთელი ამ წლების მანძილზე გაზეთი პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით ყოველთვის ფეხ და ფეხ მისდევდა ცხოვრებას.

ამხ. ჩხიკვიშვილმა ილაპარაკა იუბილარი გაზეთის მიერ განვლილ გზაზე.

პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, ამბობს დასასრულ ამხ. ჩხიკვიშვილი, პირობას ვაძლევთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ დიდი პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებლობის ყველა ხალხის მეგობრობის განმტკიცებაში, ილაპარაკეს სომხეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ხ. ოვაქიმიანმა და აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ქიაზიმოვმა.

პირველი ნომრის გამოსვლის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო

მშენებლობის პროგრამიდან, ჩვენი ცხოვრების რომელ დარგსაც უნდა ეკუთვნოდეს — მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, იდეოლოგიურ მუშაობას — ყოველთვის იქნება ჩვენი ყურადღების ცენტრში, იქნება ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი და ჩვენ არ დავიშურებთ ენერგიასა და შრომას, რომ პირნათლად შეეასრულოთ ეს ამოცანები.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. დ. გ. სტურუას. შეკრებილთა ტაშის გრიალში იგი კითხულობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისადმი.

გამოდის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი. როცა დიდი და მეგობრული ოჯახი აღნიშნავს ხოლმე რომელიმე შვილის დაბადების დღეს, ამბობს იგი, ამ სასიხარულო თარიღს დღესასწაულობს ოჯახის ყველა წევრი, დიდიცა და პატარაც. ასეა დღესაც... ჩვენი ჟურნალისტთა ერთიანი ოჯახი, საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად ზეიმობს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სახელოვან იუბილეს — მისი პირველი ნომრის გამოსვლის მეორმოცე წლისთავს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ჟურნალისტებს დადასტა ქართველი მწერლების მხურვალე სალამი.

იმაზე, თუ რა დიდი დამსახურება აქვს „ზარია ვოსტოკას“ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელების, ჩვენი დიადი სამშობლოს ერთ-ერთ ერთ-ერთ ... ...

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებაზე

(დასასრული)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით სერიოზული მუშაობა გასწიეს პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა რგოლის განსამტკიცებლად გამოცდილი კადრებით.

შეგვიძლია დავასახელოთ სამრეწველო საწარმოთა ბევრი გამოცდილი ხელმძღვანელი, რომლებიც კვალიფიციურად უძღვებიან მეურნეობას, მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას ახმარენ რესპუბლიკის ინდუსტრიის განვითარების საქმეს.

სამრეწველო წარმოების მოწინავე ორგანიზატორთა შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელები — დირექტორი ს. შარაძენიძე და პარტკომის მდივანი გ. ჟამიერაშვილი. ამ საწარმოს კოლექტივმა უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია. ქარხანაში ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვანი გადაჭრებით სრულდება შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალებანი. ეს დიდი გამარჯვებაა, ამხანაგებო. რუსთაველმა მეტალურგებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეშიც. ევროპაში პირველად ამ ქარხანამ განახორციელა ისეთი მძლავრი საგლინავი აგრეგატის კომპლექსური ავტომატიზაცია, როგორიც არის დგანი „400“. ამ მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ, და ქარხნის მთელ რიგ სპეციალისტებს მიენიჭათ ლენინური პრემიის ლაურეატის სპარტიო წოდება.

ბევრი კარგი ორგანიზატორი აღიზარდა ჩვენს სოფლის მეურნეობაშიც. სულ ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელ სამუშაოზე დაფინაურებულ ამხანაგთა უმრავლესობამ ამ სამმართველოებში უკვე გამოიჩინა თავი როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის უნარიანმა ორგანიზატორმა.

ბევრი შესანიშნავი ხელმძღვანელი გვყავს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს შორისაც. მათგან შეიძლება დავასახელოთ ამხ. ი. ქრისტესიაშვილი. იგი მუშაობდა ცხინვალის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და ეს მეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩაყენა. მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონდათ, რომ ქრისტესიაშვილი იყო მომთხოვნი, იბრძოდა შრომის დისციპლინის მტკიცედ დაცვისათვის, საკოლმეურნეო დოვლათისა და საზოგადოებრივი მიწების დამტაცებელთა წინააღმდეგ. პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა დროზე არ დაუჭირა მხარი ამხ. ქრისტესიაშვილს. მომდინარე წლის დამდეგს იგი გაიგზავნა სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში — სოფელ ქსუისის კოლმეურნეობაში. ამხ. ქრისტესიაშვილმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს და მალე მიაღწია შრომის მაღალ ორგანიზაციას. არტელმა, პირველად თავისი არსებობის ვანძილზე, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შეასრულა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქსუისის ჩამორჩენილი კოლმეურნეობა უახლოეს ხანში ჩადგება მოწინავეთა რიგებში.

მოწინავეთა რიგებში ჩაყენა წინათ ჩამორჩენილი საზოგადოებრივი მეურნეობა გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დემეტრაშვილმაც.

ბევრი კარგი კადრები აღიზარდა ჩვენს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში. წარმოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით ისინი წარმატებით წყვეტენ ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საკითხებს.

ბევრი გამოცდილი ორგანიზატორია სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. მათს სახელოვან რიგებს განუწყვეტლივ ემატებიან ახალგაზრდა მზარდ სპეციალისტთა, ნიჭიერ ორგანიზატორთა, წარმოების ხელმძღვანელების ლენინური სკოლის სახელოვანი ტრადიციების ღირსეულ განმგრძობთა ახალი კადრები.

უკანასკნელი წლების მანძილზე სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მოვიდა საშუალო განათლების მქონე ბევრი ახალგაზრდა. ძველ გამოცდილ კადრის მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად ახალგაზრდობა არა მარტო წარმატებით შრომობს, არამედ აქტიურადაც მონაწილეობს წარმოების მართვაში.

ჩვენში არის ასობით ადამიანი, რომლებსაც ვუწოდებთ შუქურებს — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებს. მეტალურგთა შორის ეს არის მეფოლადე ამირან ფანცულაია, მეშახტეთა შორის — ბრიგადირები შოთა კუბლაშვილი და კუჩკანლეიბა, მქსოველი ეთერ სოლომონია, მკერავი პოლინა ბოგდანოვა, ოსტატი მიხეილ ბაღდასაროვი, მშენებელი დავით თედეევი, გამწყობი იოსებ ხაზარაძე; ესენი არიან ჩაის უხვი მოსავლის სახელგანთქმული ოსტატები — ტატიანა ჩხაიძე, ტატიანა ტყებუჩავა, ზოია გერგედავა, დარიკო ქათამაძე, ანეტა ხურციძე და ბევრი სხვა.

საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის მხრივ. საკმარისია ითქვას, რომ მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში ასეთ სპეციალისტთა რიცხვი დაახლოებით 1,7-ჯერ გადიდდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვიც.

უკანასკნელ წლებში პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე დაწინაურებულია ბევრი ახალგაზრდა, ენერგიული მუშაკი, რომლებმაც საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან მინდობილ საქმეს. კარგად მოჰკიდეს ხელი საქმეს თელავის, ყვარლის, ახალციხის, ყაზბეგის, ლანჩხუთის, ბოლნისის, ზესტაფონის, თერჯოლის, ქობულეთისა და სხვა რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, აგრეთვე ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების ბევრმა პარტორგმა.

მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები მოხდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა შემადგენლობაში. მათგან 47 პროცენტზე მეტს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება; ერთ მესამედზე მეტს საშუალო განათლება. მდივანთა შორის თითქმის 22 პროცენტი ქალია. ჩვენ შემდგომშიც გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ქალები ხელმძღვანელ სამუშაოზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას.

მაგრამ კადრებთან მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია გვაქვს. ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს მთავარი ნაკლია ის, რომ არღვევენ კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინურ პრინციპებს. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ხშირად ხელმძღვანელ თანამდებობებზე შეარჩევენ ხოლმე ადამიანებს მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების გაუთვალისწინებლად, ისეთებს, რომლებსაც არა აქვთ ორგანიზატორული უნარი, და ნდობის ღირსი არ არიან. ნაკლოვანებანი და ხარვეზები კადრებთან მუშაობაში უარყოფით გავლენას ახდენენ უწინარეს ყოვლისა სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობაზე.

კარგი ორგანიზატორი, ხელმძღვანელი ღრმად უნდა სწვდებოდეს მეურნეობის საქმეს, წარმოების ეკონომიკას, სისტემატური ცოცხალი კავშირი ჰქონდეს ადამიანებთან და ემყარებოდეს კოლექტიურ გამოცდილებას, ჰქონდეს ახლის გრძნობა.

ამავე დროს ჩვენში ბევრია ისეთი ხელმძღვანელი, რომლებიც სიტყვიერად ენთუზიაზმით ქადაგებენ, რომ საჭიროა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, პრაქტიკულად კი ცოტა რამეს აკეთებენ ამისათვის.

სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ სწორედ ასეთ ხელმძღვანელთა მიზეზით საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს 526 სამრეწველო საწარმოდან 1961 წლის გეგმა ვერ შეასრულა 102, ხოლო 1962 წლის 4 თვის გეგმა — 67 საწარმომ.

ერთ ერთი ჩამორჩენილი საწარმოა, მაგალითად, კასპის ელექტროაპარატურის ქარხანა. ქარხანაში იყო წამატებისა და თვალისახვევის ფაქტებიც. კი. ამკარაა, რომ ქარხნის დირექტორი ამხ. სოლოდაშვილი ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო დიდხანს ითმენდა მას საქმის საზიანოდ.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ამ სამმართველოს აპარატის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი და მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

მრეწველობის ზოგიერთი ხელმძღვანელი კადრები ხშირად სუსტად ერკვევიან წარმოების ეკონომიკაში, საკმაოდ არ იბრძვიან რეზერვების გამოყენებისათვის. ამით აიხსნება, რომ, კერძოდ, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მექანიკური საამქროების მოწყობილობის დატვირთვის კოეფიციენტი არასაკმაოა და ქარხანა აწარმოებს უფრო ცოტა მანქანებს, ვიდრე საჭიროა. მთლიანად ვერ იყენებენ მოწყობილობას რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, თუმცა ეს ქარხანა ახლა უკეთ და უფრო რიტმულად მუშაობს, ვიდრე წინათ. ცუდად იყენებენ სიმძლავრეებს აგრეთვე საქართველოს კაბელის ქარხანასა და ბამბეულის საწარმოებში.

ამხ. მჟავანაძემ მოიყვანა სხვა მაგალითებიც, რომლებიც მოწმობენ ნაკლოვანებებს საწარმოებში.

სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

წლითიწლობით ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მთელი რაიონებიც კი. ამის ერთ-ერთი მიზეზია პარტიული კომიტეტების ზერელე დამოკიდებულება კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევისადმი. ხშირად პარტიის რაიკომები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად აწინაურებენ სუსტ მუშაკებს. განსაკუთრებით დიდია კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შეცვლის პროცენტი სამტრედიის, ზუგდიდის, წალკის, გორის, წალენჯიხისა და. სხვა რაიონებში. აჭარის ზოგიერთ კოლმეურნეობაში თავმჯდომარეები უკანასკნელ ხანს ყოველ წელიწადს იცვლებოდნენ, ახალქალაქის, ზესტაფონის, ზუგდიდისა და ვანის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში კი— ორჯერ წლის განმავლობაში.

პარტიის ბევრ რაიკომს ერთი კოლმეურნეობიდან მეორეში გადაჰყავს ადამიანები, რომლებიც მოხსნილი არიან სუსტი მუშაობისათვის.

პარტიის რაიკომების მდივნებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა უფროსებმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგებმა საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ და შემდეგში აღარ დაუშვან მანკიერი პრაქტიკა კოლმეურნეობათა კადრების შერჩევასა და განაწილებაში.

ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების უდიდესი რეზერვები მოეპოვებათ. 1961 წელს ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ რესპუბლიკაში შეადგინა 3.100 კილოგრამი ჰექტარზე, მაშინ როცა ქობულეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჰექტარზე კრეფენ 4.800 კილოგრამს. ჩაის ფოთლის გაცილებით ნაკლები მოსავალი, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში, მოჰყავთ აფხაზეთში, ჩოხატაურის, სამტრედიის, წულუკიძის, წყალტუბოსა და სხვა რაიონებში, თუმცა იქ დიდი რეზერვები აქვთ. ყველა ჩვენს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას საშუალოდ ჰექტარზე თუნდაც 3.800 კილოგრამი რომ მიეღო, — ეს ამოცანა კი სავსებით რეალურია,—მაშინ ჩვენ ყოველწლიურად მოვკრეფდით 215 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს — 45 ათასი ტონით მეტს, ვიდრე გათვალისწინებულია შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის.

მარტო ვენახების სიმეჩხრის გამო ჩვენ ყოველწლიურად ვაკლებთ სახელმწიფოს 30 ათას ტონა ყურძენს. შეუწყნარებლად დიდია სიმეჩხრე ზესტაფონის, ვანისა და სხვა რაიონებში, რომლებიც ფუშავენ ყურძნის შესყიდვის გეგმას რესპუბლიკაში.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვების საფუძველი ის არის, რომ გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშიანობა. რაც ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ჩვენი კადრები უფრი ღრმად უნდა ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, გაბედულად გამოავლინონ არსებული რეზერვები, მიაღწიონ შეთანხმებულობასა და სიზუსტეს სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში, უთუოდ შეასრულონ ყველა სახელმწიფო გეგმა.

ახლა სოფლის მეურნეობაში დადგა ნათესების დამუშავების მეტად პასუხსაგები პერიოდი. გაჩაღებულია ჩაის ფოთლის კრეფა, ბაღებისა და ვენახების მოვლა-დამუშავება. დაიწყო თავთავიანი კულტურების აღება, თიბვა და ა. შ.

იმაზე, თუ როგორ განხორციელდება ეს სამუშაოები, გადამწყვეტად დამოკიდებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება. ყველა პარტიული ორგანიზაციის მოვალეობა ამჟამად ის არის, რომ უზრუნველყონ მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროზე და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულება, რათა თვითეული კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, სპეციალისტი შრომობდეს მთელი ძალღონის დაძაბვით, აქტიურად მონაწილეობდეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

მიუხედავად სპეციალისტთა დიდი რიცხვისა ამავე დროს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბევრ წამყვან უბანზე ხელმძღვანელი თანამდებობა უჭირავთ არასპეციალისტებს, მაგალითად, როგორ შეიძლება შევიწყნაროთ, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში საამქროთა უფროსებისა და მათი მოადგილეების ნახევარზე მეტს უმაღლესი განათლება არა აქვს.

სოფლის მეურნეობის 12.170 სპეციალისტიდან უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობს მხოლოდ 10.513 კაცი, ხოლო 1.657 კაცი მუშაობს დარგებში, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სოფლის მეურნეობასთან. და ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა 20 პროცენტს საშუალო განათლებაც არა აქვს.

ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სპეციალისტებმა. ამ არტელის ცხრა აგრონომი და ზოოტექნიკოსი სათავეში ჩაუდგა ბრიგადებსა და ფერმებს და მოუწოდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიებაძათ მათი მაგალითისათვის. ახალმა თაოსნობამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. ორ თვეში 300-ზე მეტი სპეციალისტი წავიდა ბრიგადებსა და ფერმებში სამუშაოდ. ველისციხელთა ინიციატივას პარტიულმა ორგანოებმა უაღრესად ფართოდ უნდა დაუჭირონ მხარი.

ამხ. მჟავანაძემ მოიყვანა ფაქტები, როცა სხვადასხვა სამინისტრო და უწყება ცუდად იყენებს სპეციალისტებს.

მაგრამ, ამხანაგებო, განაგრძო მომხსენებელმა, ხელმძღვანელ სამუშაოზე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა დაწინაურება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყველა პრაქტიკოსი უნდა შევცვალოთ. მათ შორის არიან დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები, საუკეთესო ორგანიზატორები. ასეთი ადამიანებისათვის განსაკუთრებით უნდა ვზრუნავდეთ, შევუქმნათ მათ მუშაობისა და თეორიული ცოდნის შევსების პირობები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა საკითხი აჭარის საოლქო და ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში კადრების შერჩევის პარტიული პრინციპების უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ.

ამ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ სამუშაოზე ხშირად აწინაურებდნენ ადამიანებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საჭირო პოლიტიკური და საქმიანი თვისებები. მუშაკები, რომლებმაც საქმე ჩაფუშეს ერთ თანამდებობაზე, ადამიანები, რომლებმაც თავი შეირცხვინეს და ამ პარტიულ ორგანიზაციებში ნდობა ვერ დაიმსახურეს, სრულიად უსაფუძვლოდ გადაჰყავდათ სხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე. გამოვლინებული ნაკლოვანებანი საგულისხმოა ყველა პარტიული კომიტეტისათვის.

უკეთ როდია კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმე აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციაში, აგრეთვე რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა ადგილებზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ნიჭიერი კადრებით განმტკიცებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვაჭრობის მუშაკთა კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში ჯერ კიდევ არის სერიოზული დარღვევები. ამის შედეგად არღვევენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს, ატყუებენ მყიდველებს, ვაჭრობენ უფაქტურო საქონლით, ფლანგავენ და იტაცებენ სახელმწიფო სახსრებსა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს.

სრულიად შეუწყნარებელია, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე და მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში კვლავ იპარებიან ისეთი პირები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს და ვაჭრობასთან საერთო არა აქვთ რა.

უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მატერიალურად პასუხსაგებ, მომარაგება-გასაღების და სარევიზიო სამუშაოზე ისეთი ადამიანების მიღება, რომლებიც ნასამართლევი ან სამუშაოდან დათხოვნილი არიან მექრთამეობისათვის, დატაცებისა და სხვა ანგარებითი დანაშაულისათვის, ისეთი ადამიანების მიღება, რომლებმაც სახელი გაიტეხეს და ნდობის ღირსი არ არიან. მათ, რასაკვირველია, უნდა იმუშაონ, სამუშაო ჩვენ ბევრი გვაქვს, მაგრამ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე არ უნდა დაინიშნონ. საჭიროა, რომ მატერიალურად პასუხსაგები თანამდებობის ყოველ კანდიდატურაზე იმსჯელონ პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

მატერიალური ფასეულობებისაკენ გზა რომ დავუხშოთ უპატიოსნო ადამიანებს, ყველა ჯურის საქმოსნებს, მექრთამეებს, სპეკულანტებს, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო უვარგისი მუშაკების გაუმართლებელი გადაყვანა-გადმოყვანის მანკიერ პრაქტიკას.

ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკითხი სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების შესახებ, გაფლანგვის, დატაცებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. როგორც ბიურომ აღნიშნა, გაფლანგვისა და სახელმწიფო საკუთრების დატაცების ფაქტები მოწმობენ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებს საჭირო დასკვნები არ გამოუტანიათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არაერთი გაფრთხილებიდან.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ძირითადი მიზეზები, რომლებმაც წარმოშვა სოციალისტური საკუთრების დატაცება, არის ცალკეულ ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა კადრებთან, სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება.

ყველაზე ულმობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ მექრთამეობის წინააღმდეგ. მექრთამეთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესაძლებლობას წარმოშობენ სერიოზული ნაკლოვანებანი სახელმწიფო აპარატის ცალკეული რგოლების მუშაობაში, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები, უწესრიგობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

საჭიროა ყველგან ვცდილობდეთ ისეთი მდგომარეობის მიღწევას, რომ მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნები გაუქიანურებლად კმაყოფილდებოდეს. თაღლითებსა და ვიგინდარებს, მექრთამეებსა და საქმოსნებს შეიძლება ყველა გზა და ხვრელი მთლიანად დავუხშოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ უთუოდ დავიცავთ კანონებს, წესრიგს, თუ უაღრესად ფართოდ ჩავაბამთ საზოგადოებრიობას სავაჭრო, საბინაო, საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისადმი კონტროლში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე კომუნისტებმა მხურვალედ მოიწონეს გაფლანგვა-დატაცების, ქურდობის, მექრთამეობისა და სხვა ანტისახელმწიფოებრივი და ანტისოციალისტური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა. კომუნისტები თავიანთ გამოსვლებში გაბედულად ააშკარავებდნენ სოციალისტური საკუთრების დატაცების, დამნაშავეებისადმი ლიბერალური დამოკიდებულების, დაუდევრობისა და დოყლაპიობის, კადრების შერჩევასა და განაწილებაში უხეში შეცდომებისა და ნაკლოვანებების, მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს, უწესრიგობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

საჭიროა ყველგან ვცდილობდეთ ისეთი მდგომარეობის მიღწევას, რომ მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნები გაუქიანურებლად კმაყოფილდებოდეს. თაღლითებსა და ვიგინდარებს, მექრთამეებსა და საქმოსნებს შეიძლება ყველა გზა და ხვრელი მთლიანად დავუხშოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ უთუოდ დავიცავთ კანონებს, წესრიგს, თუ უაღრესად ფართოდ ჩავაბამთ საზოგადოებრიობას სავაჭრო, საბინაო, საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისადმი კონტროლში.

ეროვნული და უნანარსინ სოციალისტური კულტურის გაღიდერების ერთ-ერთი წყარო.

ჩვენ [illegible] ერ-ღვეული შეგობრობის, კერძოდ, ქართველ [illegible] ხალხის [illegible] ა და სიყვარულის მკაფიო დადასტურებაა მთელი ჩვენი სინამდვილე. გავიხსენოთ თუნდაც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში. რა სიყვარულითა და პატივისცემით, რა გულთბილობითა და აღტაცებით იღებდნენ მოსკოვში რესპუბლიკის წარგზავნილთ. ხოლო რა წარმატებით სარგებლობენ ახლა საქართველოს მშრომელებში ჩვენთან ჩამოსული ძვირფასი სტუმრები — რუსი პოეტები, ან მოსკოვის თეატრ „სოვრემენნიკის“ გასტროლები! და განა ჩვენი ხალხების მონოლითურ ერთიანობას არ მოწმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარე წლის მარტში! საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

მაგრამ როცა ამას ვამბობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ცალკეულ წარმომადგენელთა არასწორ ქცევას, რომელიც სრულიადაც არ უწყობს ხელს ჩვენი კულტურების ინტერნაციონალურ შეკავშირებას.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა გაძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შორის და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.

კადრების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ.

კომუნისტური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი მაგალითის უნარიან გამოყენებას. ჩვენს სინამდვილეში დღითიდღე ვითარდება და მტკიცდება სიახლენი საბჭოთა ადამიანების ურთიერთობაში, სულ უფრო მტკიცე ხდება ჩვენი საზოგადოების მორალური საფუძვლები. ჩვენი ადამიანების მაღალი მორალური თვისებების, კეთილშობილების, მაღალი ადამიანური გრძნობების, სიყვარულის, ხალხთა მეგობრობის, ამხანაგური ურთიერთდახმარების გამოვლინებათა ჩვენება ის ამოცანაა, რომელსაც ჯერ კიდევ საკმაოდ მკაფიოდ ვერ წყვეტს ჩვენი პრესა.

ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ იდეური სიწმინდისათვის, არ დავუშვათ, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით, აუდიტორიების ტრიბუნებიდან წარმოიბდეს მანკიერი უბადრუკი იდეების ქადაგება, რომლებიც ზიანს აყენებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

პარტია მოითხოვს გადამწყვეტ შეტევას იდეოლოგიურ ფრონტზე. ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა შეტევითი უნდა იყოს. ამ საკითხზე შესანიშნავად თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა: „ნუ მოერიდებით, ამხანაგებო, მწვავე საკითხებს, უპასუხეთ მწვავე საკითხებზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, თავს კი ნუ დაიცავთ, არამედ შეუტიეთ, შეუტიეთ და შეუტიეთ!“ ამასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთებს სერიოზულად უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ისინი მორიდებულად აწარმოებენ თავიანთ ფურცლებზე პრინციპულ კრიტიკას. ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ცოტაა მასალები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ კადრებთან პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, საბჭოთა და სახელმწიფო დაწესებულებები, სამინისტროები და უწყებები, სახალხო მეურნეობის საბჭო და სხვა სამეურნეო ორგანოები.

ამხანაგებო! კადრების საკითხი კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხია. კადრებთან მუშაობის გაძლიერება საწინდარია მთელი ჩვენი შემდგომი მიღწევებისა იმ დიდი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დასახეს სკკპ XXII ყრილობამ. პარტიის პროგრამამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ყველა ღონისძიებას განახორციელებენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის და პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმების, მეთოდებისა და სტილის შემდგომი გაუმჯობესებითა და სრულყოფით, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ხელმძღვანელობის დონის ამაღლებით ახალ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწევენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა შესრულებაში, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

კომუნისტი

№ 2 გვერდი, ოთხშაბათი, 27 ივნისი, 1962 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდ

ამხ. ვ. პ. მეჟავანაძის მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. რ. ფრუიძემ, დიდი მუშაობა გასწია პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა კადრების აღზრდისათვის. მაღალი მომთხოვნელობის, მინდობილი სამუშაოსათვის პასუხისმგებლობის, ხალხისადმი ერთგული სამსახურის სულისკვეთებით მათი აღზრდა ყოველთვის იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის უურადღების ცენტრში. ხორციელდება ძველი გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა პერსპექტიული მზარდი სპეციალისტების შეხვამების პრინციპი.

კადრებთან მუშაობის გაუმჯობესება დადებით გავლენას ახდენს მთელ სამეურნეო საქმიანობაზე. ქალაქის მრეწველობა წლითიწლობით ზრდის პროდუქციის მოცულობას.

მაგრამ კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის, რასაც ამხ. ფრუიძემ ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში.

ჩვენ მოვალენი ვართ, აღნიშნა მან, ისე წარვმართოთ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, რომ მათ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ჩაუნერგონ თვითეულ კომუნისტს საქმის ვითარებისათვის იმ უბანზე, სადაც იგი მუშაობს. პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ ყოველი მუშაკის ნაკლოვანებანი და უღირსი საქციელი დროულად და პრინციპულად გააკრიტიკონ და გამოასწორონ.

კადრების შერჩევაში შეცდომების გამო და იმ მიზეზით, რომ არ ზრუნავენ დასაწინაურებელი რეზერვის შექმნისათვის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს სისტემაში ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების 813 თანამდებობიდან 292 უკიროავთ პრაქტიკოსებს, აგრეთვე არასპეციალისტებს. გრეხილი ავეჯის ფაბრიკის გამგედ მუშაობს აგრონომი-მეცხოველეობელი, ხოლო სამრეთ მეურნეობას განაგებს აგრონომი-ეკონომისტი. გასაკვირველი არ არის, რომ ამ საწარმოს პროდუქციის ხარისხი მეტად დაბალია.

შემოწმებამ ცხადყო, რომ უპატრონო ადამიანებმა, რომლებმაც მოიკალთეს მრეწველობაში, ტრანსპორტზე და ვაჭრობაში, ზოგიერთი ხელმძღვანელის სიფიზიზლის უქონლობის, ზოგჯერ კი წაყრუების შედეგად შეძლეს დაეტაცებინათ დიდი თანხები და მატერიალური ფასეულობანი.

ორატორმა მოიყვანა ფაქტები, როცა ცალკეულ სამინისტროებს და უწყებებს მატერიალურად პასუხსაგებ ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაჰყავთ სახელგატეხილი პირები, რომელსაც ჩადენილი აქვთ უპატიოსნო საქციელი. 627 კაციდან, რომლებსაც სავაჭრო ორგანიზაციებში მატერიალურად პასუხსაგები თანამდებობები ეკავათ, 64 კაცი ნასამართლევი იყო ქურდობისათვის, სპეკულაციისათვის, სახელმწიფო სახსრების დატაცებისათვის.

ორატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების საქმიანობა. ცნობილია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ ამ ორგანოებში ჯერ კიდევ არიან მუშაკები, რომლებიც ლიბერალურად ეკიდებიან დამნაშავეებს.. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ასეთ ვაი-მუშაკებს. სწორედ ამიტომ იყვნენ გადაყენებული პოსტებიდან პირველი მაისის რაიონის პროკურორი ამხ. აბაკელია, მისი თანაშემწე ამხ. ნოდია და სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების ზოგიერთი სხვა მუშაკი.

სხვადასხვა დანაშაული, მუქთახორობა, საერთო ცხოვრების წესების უხეში დარღვევა მოწმობს, რომ კადრების აღზრდისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა მთელი სიმწვავით გამოაშკარავა ნაკლოვანებანი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში და ამ ნაკლოვანებათა წარმომშობი მიზეზები. პლენუმმა მოსთხოვა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს ძირეულად გაუმჯობესონ მთელი იდეოლოგიური მუშაობა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა შესაბამისად.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. უ. ცქვიტინინმემ აღნიშნა, თუ რა წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელებს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში. ხუთი თვის გეგმა ქუთაისის სამრეწველო საწარმოებმა 104,5 პროცენტით შეასრულეს. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11,3 პროცენტს შეადგენს. ხორციელდება მუშაობა საწარმოების უახლესი ტექნიკით აღჭურვისათვის.

საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში დგას კადრების შერჩევის. განაწილებისა და აღზრდის საკითხი. უკანასკნელ დროს გახშირდა სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დატაცების შემთხვევები. მთელ რიგ ორგანიზაციებში მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე შეიპარნენ უპატიოსნო ადამიანები, სახალხო დოვლათის დამტაცებლები. ამ სამარცხვინო მოვლენათა გამოაშკარავებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ.

უკანასკნელ დროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებული არიან ახალგაზრდა კადრები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, სერიოზული მუშაობა წარმოებს ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებში კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის.

პარტიის იფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ბდაყებამ აღნიშნა, თუ რა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შრომობენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სახკომთა მეურნეობების კოლექტივები, რა საწარმოო წარმატებებია მოპოვებული შვიდწლედის მეოთხე წლისათვის ნაკისრ გალდებულებათა შესრულებაში. აფხაზეთში, თქვა მან, განუხრელად იზრდება მრეწველობის პროდუქციისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. შესრულებულია მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა. მეჩაიეებმა ვადადე შესრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის — მაის-ივნისის გეგმა. 19 ივნისისათვის მოკრეფილია 12.129 ტონა ფოთოლი — 855,2 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე დროისათვის.

ამხ. ბაღაბა შემდეგ შეეხო კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხს, მეურნეობის. სახალხო დოვლათის განაგების, მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედების ფაქტები, რომლებიც უკანასკნელ დროს იქნა გამოაშკარავებული, მოწმობენ, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია კადრებთან მუშაობაში. დიდი გაფლანგვა-დატაცება გამოაშკარავდა, მაგალითად, აფხაზეთარობაში, ტყეარჩელის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორაში, სხვა ორგანიზაციებში.

მშრომელთა სიგნალებით პარტიის საოლქო კომიტეტმა გამოაშკარავა კერძომესაკუთრული საქმიანობა სოხუმის საქსოვ ფაბრიკაში, გუდაუთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატსა და ზოგიერთ სხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში. დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან სოხუმის მარმარილოს მაღაროსამმართველოს ყოფილი მმართველი ა. ტოგონიძე და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს არამდნეულ წიაღისეულთა მრეწველობის მთავარი სამმართველოს რევიზორი ა. გედევანიშვილი, რომლებმაც სინდისს უღალატეს და ჩაიდინეს დანაშაული. შემრიგებლურად ეკიდებოდა უპატიოსნო ადამიანებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სჩადიოდა ბოროტმოქმედებასაც მილიციის ზოგიერთი მუშაკი.

აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები აწარმოებენ ბრძოლას დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ, ცვლიან მათ საიმედო, შემოწმებული კადრებით, მაგრამ რაც გაკეთდა, სულაც არ ქმარა. კრიტიკა ჩვენს მიმართ, რაც გამოთქმულია ამხ. მეჟავანაძის მოხსენებაში, სავსებით სამართლიანია. საოლქო პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი სერიოზული შეცდომაა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი არასაკმარისი ხელმძღვანელობა. ბევრი შეცდომა და ნაკლი არ გვექნებოდა, პირველად პარტიულ ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებრიობას ქმედითად რომ ებრძოლათ დამნაშავეობისა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ.

გაწეულია მუშაობა პარტიული აპარატის და უწინარეს ყოვლისა, რაიონული აქტივის განმტკიცებისათვის, ახლა რაიკომების მდივნებს აქვთ უმაღლესი განათლება, ისინი ეკონომიკისა და კულტურის გარკვეული დარგის სპეციალისტები არიან. განმტკიცდა რაიონული საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების შემადგენლობა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები დაკომპლექტებულია სოფლის მეურნეობის საუკეთესო სპეციალისტებით. ხელმძღვანელ სამუშაოზე აღგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში დაწინაურებული არიან ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანები.

გამოდის საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნ. გომელაური. იგი ამბობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების სწორ შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას ისეთი მრავალიცხოვანი ორგანიზაციისათვის როგორიც არის სახალხო მეურნეობის საბჭო. ეს სისტემა აერთიანებს 240 ათას კაცს, მათ შორის დაახლოებით 28 ათას კაცს ხელმძღვანელ და საინჟინრო-ტექნიკურ თანამდებობებზე.

კადრებთან მუშაობა ბევრად გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა პირველ რიგში ხეციალური განათლების ცენზის გადიდებით. ახლა საწარმოთა დირექტორების 84 პროცენტს, საამქროთა უფროსების 79 პროცენტსა და განყოფილებათა უფროსების 86 პროცენტს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვთ.

კადრებთან მუშაობის გაუმჯობესება, ცოდნისა და კვალიფიკაციის განუწყვეტელი ზრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისა, რომ მრეწველობამ წარმატებით შეასრულოს სახელმწიფო დავალებანი. სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა როგორც შარშან, ისე მიმდინარე წლის ხუთ თვეშიც. მაგრამ მიღწეგები უფრო მეტი იქნებოდა, ყველა საწარმო რომ სრულებდეს თავის დავალებას. 525 საწარმოდან 59 საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა. ეს საწარმოებია ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა, აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანა, ბათუმის ხისლესამუშავებელი კომბინატი, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა და სხვ.

მაგრამ იმ საწარმოებშიც, რომლებიც წარმატებით ასრულებენ დავალებებს, ყველაფერი როდია რიგზე. საკმაოდ არ იყენებენ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების არსებულ რეზერვებს. ზოგიერთ საწარმოში არის გაფლანგვისა და სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები. ეს იმის შედეგია, რომ საუწყვნო სამმართველოების, ტრესტებისა და საწარმოების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების შერჩევას. სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში მუშაობს დაახლოებით 9 ათასი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი. შემოწმებამ ცხადყო, რომ საჭიროა სამუშაოდან გავათავისუფლოთ ამ მუშაკთა თითქმის 10 პროცენტი. მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა კადრების შემადგენლობის გადასინჯვა გრძელდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ღონისძიების შედეგად მკვეთრად შემცირდება დანაშაულობანი, სათანადო წესრიგი დამყარდება სოციალისტური ქონების დაცვაში.

ჩვენი სახელოვანი მშრომელების მეტი ნაწილი, თქვა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შეევარდნაძემ, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას ხალხის, პარტიის წინაშე. მე მინდა შევეხო ნაკლოვანებებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა წარსულის გადმონაშთებისაგან, რაც გამოიხატება პირადი გამდიდრებისადმი, საეჭვო შემოსავლით ხელგაშლილად ცხოვრებისადმი მისწრაფებით.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა გაძნელებულია იმით, რომ ადამიანთა ერთი ნაწილი პასიურობას იჩენს ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა მიმართ. მცხეთის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მთავარ ინჟინრად მუშაობდა ვინმე მათიაშვილი. პარტიის რაკომში მას ანგარიშს უწევდნენ, ნიჭიერ, გაგლენიან და უნარიან ხელმძღვანელად მიაჩნდათ. მაგრამ რატომღაც არავინ არ მიაქცია ყურადღება მათიაშვილის ბიოგრაფიის ასეთ არსებით დეტალებს: ათი წლის წინათ მან აიშენა სამოთახიანი ბინა, რომელიც თავის პირველ ცოლს დაუტოვა, რამდენიმე წელი საპყრობილეში გაატარა. შემდეგ მოეწყო მცხეთის რაიონში და „შრომითი დანაზოგით" თავისი მეორე ცოლის სახელზე თბილისში ააშენა ოთხოთახიანი ბინა, ხოლო თავის სახელზე მცხეთაში აღმართა ორსართულიანი სახლი. ამავე დროს მას მეორე ცოლს თბილისში უჭირავს კიდევ ერთი ოროთახიანი ბინა. ვინ დაიჯერებს, რომ ყოველივე ეს ნაქურდალი არ არის. ასეთი მაგალითები იშვიათი როდია.

რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ქედმაღლურად, ბატონკაცურად ეპყრობოდნენ ადამიანებს.

ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ დაბადებულია განსაკუთრებულ ვარსკვლავზე, რომ დაბადებულია მხოლოდ ხელმძღვანელი მუშაობისათვის. ჩვენ მკაცრ პასუხისგებაში მივეცით ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, ასეთი ვაი-კომუნისტები, ნაცვლად იმისა, რომ აღიარონ თავიანთი შეცდომები და შეეცადონ გამოისყიდონ ეს შეცდომები კეთილსინდისიერი შრომით, მიმართავენ შანტაჟსა და მუქარას, არაფერს არ თაკილობენ, ოღონდ შეინარჩუნონ თბილი, ხელსაყრელი ადგილი.

კერძომესაკუთრულ შეხედულებათა, მეკრთამეობისა და წარსულის სხვა გადმონაშთების აღმოფხვრა მოითხოვს შეუნელებელ ბრძოლას. ამ მიმართულებით ბევრი რამ უკვე გაკეთდა. შემქნილია ნამდვილად სახალხო კონტროლი, სახალხო ინსპექცია. 600-ზე მეტი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო მუშაკი, რომლებიც ამ საქმეში ჩაებნენ, დიდ დახმარებას გვიწევს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯერ კიდევ მეტად დიდი მუშაობა უნდა გაეწიოთ იმისათვის, რომ აღვზარდოთ კადრები ხალხისადმი, პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საჭართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. მ. ღვინჭილიამ ილაპარაკა იმაზე, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას ვაჭრობის კადრებთან. დახლისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია მოწოდებულია თავისი წვლილი შეჰქონდეს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში. სწორედ იმიტომ, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებს მუდმივი უშუალო ურთიერთობა აქვთ ათასობით მომხმარებელთან, ისინი უნდა აღიზარდონ იმ შეგნებით, თუ რა დიდმნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრიათ.

ახლა რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკთა შორის 45,4 პროცენტს შეადგენენ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამიანები. აქედან უმაღლესი და საშუალო სავაჭრო განათლება აქვს 8 პროცენტს და სავაჭრო-კულინარიულო სკოლს კურსდამთავრებულნი შეადგენენ 6,5 პროცენტს. იზრდება დახლისა და სასადილოების მუშა ქალთა რიცხვი. არის ვაჭრობის საწარმოები, სადაც ქალები შეადგენენ კოლექტივთა სერთო რიცხვის 65-70 პროცენტს.

მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო ამხ. ვ. პ. მეჟავანაძის მოხსენებაში, კადრების შერჩევის საქმეში ჯერ კიდევ არის ბევრი სერიოზული შეცდომა. კადრების შერჩევის არასწორი პრაქტიკა გამოიხატება, კერძოდ, იმით, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში სამუშაოდ ღებულნ პირებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ვაჭრობასთან. მაგალითად, მარცხენა ნაპირის თბილავგბვაჭრობის № 45 მაღაზიის გამგედ დანიშნულია ხ. არაქელიანი, პროფესიით მკერავი. არასრული მონაცემებით, ამჟამად ვაჭრობის დარგში მუშაობს 88 ისტორიკოსი, 27 ფილოლოგი, 16 ხელოვნების მუშაკი, სოფლის მეურნეობის 60 სპეციალისტი და სხვ; ეს მოწმობს, რომ ჩვენში ნაკლები ყურადღება ეთმობა კადრების სწორად შერჩევასა და გამოყენებას.

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ექცევა სამარცხვინო მოვლენების — მექრთამეობის, სოციალისტური ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლას. უხეში დარღვევები და დანაშაულობანი გამოაშკარავებულია თბილისის, ფოთის, მახარაძის, სამტრედიის, ზუგდიდისა და ზესტაფონის რაიონების ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციებში. დარღვევათა და დანაშაულთა უშუალოდ ჩამდენი პირები მკაცრად არიან დასჯილნი. 90 კაცი მოხსნილია სამუშაოდან, 49 კაცის მასალები გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს, მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაედო 400 კაცს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, თავიდან იქნებოდა აცილებული, სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მეტი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდნენ კადრების შერჩევას.

სკკპ XXII ყრილობამ, თქვა თავის გამოსვლაში პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. თხილაიშვილმა, მოსთხოვა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ კადრებს სწორად უხელმძღვანელონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, აღზარდონ მასები კომუნისტის მშენებელთა მორალური კოდექსის პრინციპების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით კადრების სწორი შერჩევა, განაწილება, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით აღზრდა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

აპარის საოლქო, ბათუმის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყველა მდივანს უმაღლესი განათლება აქვს. უმაღლესი განათლების მქონე მომზადებული კადრებით განმტკიცდა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები. ახალი კადრებით შევსდა საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. კადრების თვისებრივი შემადგენლობის ზრდას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ამჟამად აპარის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე დაახლოებით 6.500 კაცი და 21 ათასამდე კაცი, რომლებსაც საშუალო და სპეციალური საშუალო განათლება აქვთ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები, რომლებიც ახლა შეიქმნა. ისინი უკვე ეწევიან ნაყოფიერ მუშაობას სოფლის მეურნეობის წარმოების გადიდებისათვის.

კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლების შედეგად აპარამ მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებაში. ხუთი თვის გეგმა მრეწველობამ შეასრულა 107,1 პროცენტით, პროდუქციის ზრდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13,3 პროცენტს შეადგენს. გაჩაღებულია შრომა საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა. ჭიათურ-ვანისის გეგმა უკვე შესრულებულია 118 პროცენტით. ჩაის ფოთოლი მოკრეფილია 2.200 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

აპარაში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი ნიჭიერი ორგანიზატორი. ისინი უნარიანად ხელმძღვანელობენ მეურნეობებს და განუხრელად აღწევენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას.

წარმატებები მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში რომ არ ყოფილიყო სერიოზული ნაკლოვანებანი. კადრების შერჩევისას ყოველთვის როდი იჩენენ სათანადო პრინციპლობასა და მომთხოვნელობას, ზშირად ხელმძღვანელი კადრების დაწინაურება წარმოებს ისე, რომ ყოველმხრივ არ სწავლობენ მათს საქმიან და პოლიტიკურ თვისებებს, ამიტომ ცალკეულ თანამდებობებზე ხვდებიან უღირსი ადამიანები. არის შემთხვევები, როცა კადრები გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე მუშაობის საზიანოდ.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. თოიბერიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა პარტიისა და მთავრობის ზრუნვა სხვადასხვა სპეციალობის კადრების მომზადებისათვის.

რუსთავში, თქვა მან, იქმნება „დიდი ქიმიის" მსხვილი საწარმოები. ამიტომ სერიოზული ყურადღება ექცევა სპეციალისტების მომზადებას მუშა ახალგაზრდობისაგან, რომელიც ინსტიტუტებში იმაღლებს ტექნიკურ ცოდნას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. ბევრი დაუსწრებლად მოსწავლე მუშა უკვე გახდა წარმოების მეთაური და უნარიანად ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ უბანს. მათ რიცხვშია სოციალისტური შრომის გმირი ვ. კობერიძე — ყოფილი მუშამექურე, ახლა კი საამქროს უფროსის მოადგილე. უბნის უფროსია ყოფილი მეფოლადე ზ. კვახაძე. მილსაგლინავი საამქროს უფროსად დაწინაურებულია ახალგაზრდა სპეციალისტი ბ. წერეთელი, ამჟამად ლენინური პრემიის ლაურეატი.

მაგრამ კადრებთან მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. უდარდელობა, თავიანთი საქმიანობის შედეგების არაკრიტიკული შეფასება ახასიათებს ზოგიერთ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელს. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა უკანასკნელ წლებში ასრულებს გეგმებს, მაგრამ არის კიდევ ბევრი რეზერვი, რომელთა გამოყენება კარგ მაჩვენებლებს მოგვცემს. იგივე შეიძლება ითქვას აზოტოვანი სასუქების ქარხნის, ცემენტის ქარხნისა და ამერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის შესახებ.

რუსთავის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ რესპუბლიკის მეტალურგიული ცენტრი გახადონ სანიმუშო, და კიდევაც მიაღწევენ ამას.

საკითხს, რომელსაც პლენუმზე განიხილავთ, თქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ამხ. თ. ბუაჩიძემ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს მას აგრეთვე ჩვენთვის, კულტურის მუშაკებისათვის. სწორედ „კულტურის სამინისტროს სისტემის შემოქმედებითი მუშაკების სწორი აღზრდისათვის, მათი კომუნისტური გამოწრთობისათვის უნდა იზრუნონ პირველ რიგში კულტურული ფრონტის ხელმძღვანელებმა.

ჩვენ არ ვიხსნით პასუხისმგებლობას იმ არასასურველი მოვლენებისათვის, რომლებიც მოყვანილია ამხ. მეჟავანაძის მოხსენებაში. ჩვენ ვგმობთ და ვხედავთ, თუ რა მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ჩვენი კადრების იდეური სიწმინდისა და გამოწრთობისათვის.

ამხ. ბუაჩიძე შეეხო ცალკეულ მორალურად მერყევ ადამიანთა უღირსი საქციელის ფაქტებს, მოითხოვა უფლებელი ბრძოლა გაიმალოს მათ წინააღმდეგ. მან ილაპარაკა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაზე, ხალხთა მეგობრობაზე, რომელიც დღითიდღე მტკიცდება, და აღნიშნა, თუ რა ძმურად, გულწრფელად ხვდებიან საქართველოს მშრომელები თეატრ „სოვრემენნიკის" რუს მსახიობებს, ჩვენს ძვირფას ძმებს — რუს მწერლებს, რომლებიც რუსული პოეზიის დეკადაზე ჩამოვიდნენ.

მუშაობა კადრების აღზრდისათვის, ამბობს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ჩიაევი, მუდამ იყო ჩვენი პარტიის ცენტრალური ამოცანა, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო ძლიერდება ახლა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობის პერიოდში, როცა წარმოებს ბრძოლა საქართველო ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაქსიმალურად გაფართოებისათვის, მოხმარების პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის.

ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია სერიოზული ნაკლოვანებებისათვის კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში. ამის შემდეგ ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. პარტიის რაიკომებისა და რაიაღმასკომების ხელმძღვანელებად მოვიდნენ საჭირო განათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკები. ახალი შესანიშნავი კადრები აღიზარდნენ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სამკურნალო დაწესებულებებში. ამ ბრძოლაში ჩვენ ბევრი ნაკლოვანებანი ვიჩინეთ. ჯერ-ჯერობით ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებოდა ეს ბრძოლა. ეს ბრძოლა ჯერ-ჯერობით ბოლამდე ვერ მივიყვანეთ. ეს ბრძოლა ბოლამდე ეტარებინა ოლქის ორგანოებს,

ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

„ᲡᲝᲕᲠᲔᲛᲔᲜᲜᲘᲙᲘ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

მედგრად გაისმის დედამიწაზე ადამიანური სინდისის ხმა, რაც უფრო ძლიერია ეს ხმა, მით უფრო დიდია იმის იმედი, რომ გონება გაიმარჯვებს უგუნურებაზე. მშვიდობის ძალები სძლევენ ომის ბოროტ ძალებს. და ვინც კი დაბრმავებული არ არის მოგების წყურვილით და კომერციზმისადმი სიძულვილით, ყველა ეტრფის სიცოცხლეს დედამიწაზე, შეჰხარის მზეს, ბავშვებს, წიგნებს, თავისი შრომის ნაყოფს.

ლიტერატურა და ხელოვნება, კერძოდ, თეატრალური ხელოვნება ამ ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. გამოჩენილი საბჭოთა მწერლის კ. სიმონოვის პიესას „მეოთხეს“, რომელიც თეატრმა „სოვრემენნიკმა“ თბილისელ მაყურებელს უჩვენა, თავისებური წვლილი შეაქვს ამ ბრძოლაში.

პიესის მთავარმა გმირმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, რომელიც იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანეთში და მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, გადაწყვიტა „ბანზე დადგეს“, გადაწყვიტა დავიწყებას მისცეს წარსული, რომლისაც შეეძლო ეამაყნა. იგი უარს ამბობს თავის „მემარცხენე“ შეხედულებებზე, უარყოფს საყვარელ ქალს და თანამებრძოლ ამხანაგებს, რათა ამის ფასად მიიღოს ერთ-ერთი ჟურნალის რედაქტორის პოსტი და მატერიალურად უზრუნველყოს თავისი ცხოვრება.

კონსტანტინე სიმონოვმა დასადგმელად თავისი პიესა პირველად „სოვრემენნიკს“ დაუთმო. არ მეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველა რეჟისორსა და თეატრალურ კოლექტივს, როდი ძალუძს განაზორციელოს სცენაზე ეს პიესა იმგვარად, რომ აღელვოს და დაარწმუნოს მაყურებელი, გახალისებინოს და ღიმად აგრძნობინოს მოქმედ გმირთა ბედი. სიმონოვის პიესა უაღრესად პუბლიცისტური სტილით არის დაწერილი. ამასთანავე იგი ფსიქოლოგიური დრამაც არის. სწორედ ასე გადაუწყვეტია სპექტაკლი რეჟისორ ო. ეფრემოვს. პიესის რეჟისორული გაგზრახა რომ კარგად არის მიგნებული, ამას მოწმობს დარბაზში გამეფებული „მეტყველი“ დუმილი და მსახიობთა თავისუფლება სცენაზე, რაც სპექტაკლში ძლიერად არის გამოხატული ვაგიფის სიჩუქვილი ტირანებისა და სამშობლოს მოღალატეებისადმი.

რეჟისორ ჰუსეინ სულთანოვს დადგმისათვის გამეფებული და გამომსახველი ხელოვნებაც. სპექტაკლი ვითარდება როგორც პოეტის პირადი ბიოგრაფია, ამასთანავე ის არის დიდი გმირული ეპოპეა, რომელშიც ვაგიფი დახასიათებულია როგორც ისტორიის ჭეშმარიტი გმირი. მისი ძალა ხალხთან კავშირშია.

ვაგიფის როლში გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. იუსუფზადე. იუსუფზადე-ვაგიფი მრავალმხრივ ძლიერი პიროვნებაა, რომლის ძლიერი ხასიათი ყოველგვარ ქარიშხალს უძლებს. სპექტაკლის მთელ მანძილზე მსახიობს მშვენივრად მიჰყავს ეს რთული და პასუხსაგები როლი.

სახალხო გმირის — ვაგიფის საწინააღმდეგო სახეს სპექტაკლში წარმადგენს ფეოდალური რეაქციის ბნელი ძალების განსახიერება აღამაღე შაჰ ყაჯარი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. ჰასანზადე). მის ურდოებს სიკვდილი და ნგრევა, ტანჯვა და ტირილი მოაქვთ ამერიკაკავკასიის ხალხებისათვის. მსახიობი ქმნის დიდი დესპოტის სახეს. სიავისა და ბოროტების ზღაბეებისგან დამახინჯებული მისი სახე და ხალხისათვის უბედურების მომტანი ცეცხლით სავსე მისი თვალები ავლენენ ყაჯარის შინაგან ახელ ბუნებას. იგი საზღვრებს არ უდებს თავის მოქმედებას და მოწოდებას იმაში ხედავს, რომ დაწვას და დაანგრიოს, „ადამიანის თავის ქალებისაგან მთები შექმნას“.

ვაგიფის მეგობარი — მოხუცი პოეტი ვიდადი პიესისა და სპექტაკლის ერთ-ერთი ყველაზე პოეტური სახეა. რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. სეიფი სიყვარულით ხატავს ბრძენი მოხუცის სახეს. ვიდადომ სასახლის პოეტების სახელსა და დიდებას არჩია უბრალო ხალხთან ყოფნა, მათი ჭარ-ვარამითა და ლხინით ცხოვრება. ეს გარემოება განსაკუთრებით არის ხაზგასმული მსახიობის მიერ.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. ამ წარმატებას დიდად შეუწყო ხელი კოლორიტულმა მხატვრობამ და ვოთარებასთან კარგად შერწყმულმა მუსიკამ.

ᲐᲓᲘᲚ ᲛᲘᲨᲕᲘᲔᲕᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: სცენა სპექტაკლ „მეოთხე დან“. იგი (მიხეილ კოზაკოვი) და ქალი, რომელიც მას უყვარდა (ლიდა ტოლმაჩოვა). ფოტო გ. გოგოხიასი.

□ □ □

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲘᲠᲝᲕᲐᲑᲐᲓᲘᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲑᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, Ს. ᲫᲕᲠᲚᲔᲕᲜᲘ — „ᲕᲐᲒᲘᲤᲘ“

ᲙᲘᲠᲝᲕᲐᲑᲐᲓᲘᲡ ჯაფარ ჯაბარლის სახელობის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრმა თავისი გასტროლები თბილისში, აზერბაიჯანის სახალხო პოეტის სამედ ვურღუნის ისტორიული დრამით „ვაგიფით“ დაიწყო. „ვაგიფი“ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმაა (დამდგმელი რეჟისორი აზერბაიჯანის. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჰ. სულთანოვი, მხატვარი რ. მამედოვი, კომპოზიტორი შ. ფატულაევი).

სამედ ვურღუნის დრამა მიძღვნილია XVIII საუკუნის აზერბაიჯანული პოეზიის კლასიკოსის — ვაგიფის ცხოვრებისადმი. ვაგიფის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბევრი ეპიზოდი. „ვაგიფი“ არის დრამატული პოემა აზერბაიჯანელი ხალხის სულიერ და ფიზიკურ გმირობაზე.

ვაგიფი განასახიერებს ხალხის უდრეკ სულს, ძალიერებას და ქედუხრელობას. მისი წერილი შახისადმი აღსავსეა გამანადგურებელი სარკაზმითა და სიძულვილით. ირახის შახს ამიტომაც ამინებს ვაგიფი, რომ ეს უკანასკნელი ხალხის სახელით ლაპარაკობს და მოქმედებს.

ვურღუნის დრამა მოგვითხრობს საუკეთესო ადამიანურ გრძნობებზე: მეგობრობაზე, თავდადებაზე, სამშობლოსადმი სიყვარულზე. ამიტომაც არის იგი ესოდენ ახლობელი საბჭოთა მაყურებლისათვის. ამაღელვებელია თავისი დროის ორი დიდი პოეტის — ვაგიფის და ვიდადის მეგობრობა. „მეც იქ მოვკვდები, სადაც შენ“ — ეუბნება ვაგიფს მასთან სიკვდილ-მოსვლის ბნელ საკანში მესული ვიდადი. აზერბაიჯანელი ელდარისა და ქართველი შალიკოს მეგობრობის სახით პიესაში სიმბოლურად ნაჩვენებია ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა და ბრძოლა საერთო მტრის — ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ᲙᲣᲑᲐ ᲔᲒᲝᲑᲔᲑᲐ...

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 26 ივნისი. (საკდესი). ჰავანა ზეიმით და სიხარულით შეხვდა ახალგაზრდა კუბელ გლეხებს, რომლებიც ერთი წლის განძავლობაში სწავლობდნენ და მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის მინდვრებსა და სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებში.

როცა თბომავალი „საქართველო“, რომლითაც სამშობლოში დაბრუნდა ათასამდე კუბელი ჰაბუკი მოუახლოვდა ჰავანას, ჰავანის ყურის ვრცელ სანაპიროზე საღღესასწაულოდ განწყობილი, უამრავი ხალხი იყო. მრავალმხმიანი „კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება!“ მოისმოდა გრანიტის სანაპიროდან რასაც მძლავრი „ვაშაო!“ უპასუხებდნენ „საქართველოს“ გემბანიდან.

„სიერა-მაესტრას“ ნავმისადგომთან, სადაც გაჩერდა „საქართველო“, უზარმაზარი ასოებით აღბეჭდილია: „ფიდელი და ნიკიტა“, „მშვიდობა და მეგობრობა“. ყველგან მოჩანს ყვავილები, ფრიალებს საბჭოთა კავშირისა და კუბის დროშები.

ნათესავებთან, მეგობრებთან და ჰავანის მრავალ მშრომელთან ერთად, კუბელ ახალგაზრდობას შეხვდნენ კუბის მთავრობისა და გაერთიანებულ რევოლუციურ ორგანიზაციათა ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები.

საზეიმო მიტინგი გაიხსნა. შეასრულეს კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ჩვენ ყველას, თქვა თავის სიტყვაში კუბის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ჯოელ იგლესიასმა, ძალიან კარგად გვესმის, თუ ოა დიდ სარგებლობას მოუტანს კუბას ცოდნა, რომელიც ჩვენმა ახალგაზრდობამ მეიძინა სოციალიზმის დიად ქვეყანაში. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ცოდნა დაგვეხმარება განვავითაროთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ვაშენოთ სოციალიზმი კუბაში.

ჯოელ იგლესიასმა კუბის მთელი ახალგაზრდობის სახელით გულითადი მადლობა უძღვნა საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას ძმური შეხვედრისა და ზრუნვისათვის, რომლითაც საბჭოთა კავშირში გარემოსილი იყვნენ კუბელი ჰაბუკები.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ანდრია პავლოვმა, რომელიც კუბის ახალგაზრდობას ახლავს ჰავანამდე, სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა კუბაში ნ. ა. ბელოუსმა და კუბის აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის პრეზიდენტმა კარლოს რაფაელ როდრიგესმა.

მიტინგი დამთავრდა „ინტერნაციონალის“ სიმღერით.

ᲙᲐᲠᲚᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 25 ივნისი. (საკდესი). გრძელდება ამერიკის ჯარების დემონსტრაციული გადაყვანა დასავლეთ გერმანიიდან დასავლეთ ბერლინში და პირიქით. ეს ხდება დასავლეთ ბერლინში დაძაბულობის შენარჩუნების მიზნით.

გუშინდელი დღის განმავლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ავტომაგისტრალით, რომელიც დასავლეთ ბერლინს აკავშირებს დასავლეთ გერმანიასთან, ავტომანქანებით გადაჰყავდათ ორივე მიმართულებით 400-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი.

ძალის ამ დემონსტრაციას ამერიკის სარდლობა ახორციელებს იმ საბაბით, რომ ამერიკის 47-ე ქვეითი პოლკის მე-2 საბრძოლო ჯგუფი, რომელიც დასავლეთ ბერლინში ყო სამი თვის განმავლობაში, შეცვალოს ახალი ჯარებით — ამერიკის მე-8 ქვეითი პოლკის 1-ლი საბრძოლო ჯგუფით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან დასავლეთ გერმანიაში გადაიყვანეს ჰაერით მიმდინარე წლის მაისში.

ᲤᲘᲚᲓᲝᲡ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲖᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 26 ივნისი. (საკდესი). ოას-ელები განაგრძობენ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას ალჟირსა და საფრანგეთში. ისინი განსაკუთრებით გააქტიურდნენ ორანის რაიონში, სადაც უკანასკნელი ორი დღის მანძილზე მოახდინეს დაახლოებით 30 აფეთქება, ცდილობენ რა მოსპონ ქალაქის სკოლები. ერთ-ერთი სკოლა მთლიანად დაინგრა.

პარიზში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გარდაიცვალა ორანის ტერიტორიული ოლქისა და საარმიო კორპუსის სარდალი, დივიზიის გენერალი ჟინესტე. რამდენიმე დღის წინათ იგი ფაშისტმა მკვლელებმა დაჭრეს ორანში.

„საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ „დამკვრელი ჯგუფი“ ქალაქ ბორდოში თავს დაესხა მთავრობის პარტია ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის დეპარტამენტის ფედერაციის შენობას.

□ **ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ** სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ადამიანები აქტიურ მონაწილეობას იღებენ „შვიდობის ლაშქრობებში“, რომლებიც ბევრ ქალაქში იმართება. დემონსტრანტები მოითხოვენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ტოსკანის ოლქის მშრომელები „მშვიდობის ლაშქრობის“ დროს ქალაქ ფლორენციის ქუჩებში.

ფოტო ა. კრასიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲤᲘᲚᲓᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲚᲛᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 26 ივნისი. (საკდესი). კარლოვი ვარში დამთავრდა საერთაშორისო კინოფესტივალი. საბჭოთა კინემატოგრაფია ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მხატვრული ფილმებით — რომის „ერთი წლის ცხრა დღე“ და როსტოკის „ქარში“, აგრეთვე ვასილიევის მოკლემეტრაჟიანი ფილმით „ცხოვრება მიდიმის“.

ფესტივალის საუკეთესო ფილმად ცნეს მ. რომის ნაწარმოები მოვალეობის მაღალი გრძნობის ადამიანთა შესახებ. ფილმს „ერთი წლის ცხრა დღე“ მიენიჭა დიდი პრემია — ბროლის გლობუსი.

ორი მთავარი პრემია მიენიჭა იტალიურ ფილმს „მათხოვარი“ და ინგლისურ ფილმს „ერთი წვეთი თაფლი“. კუბურ ფილმს „პედრო მადინ სიერანი“ მიენიჭა სპეციალური პრემია ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკებისათვის. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმებს მიენიჭათ საპატიო მედლები.

დიდმნიშვნელოვანი და ახალი მომენტი კინოფესტივალის პროგრამაში იყო აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდა კინემატოგრაფიის წარმომადგენელთა სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 16 ქვეყნის დელეგატებმა. სიმპოზიუმის ფარგლებში უჩვენეს ამ ქვეყნების 19 ფილმი. სიმპოზიუმის საერთაშორისო კომიტეტმა პირველი პრემია მიანიჭა ვიეტნამურ ფილმს, მეორე — ალჟირულ ფილმს, მესამე — კუბურ ფილმს.

ᲠᲐᲡᲙᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲖᲔᲛᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡᲙᲘᲗᲮᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 25 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩუკხეევი იუწყება: ამერიკის ექვერეული შტატების სახელმწიფო მდივანი დ. რასკი გუშინ თვითმფრინავით ჩამოვიდა ლონდონში ოთხი დღის ოფიციალურ ვიზიტად. ლონდონი ერთ-ერთი პუნქტია რასკის ტურნესი დასავლეთ ევროპაში, სადაც იგი, როგორც კონსერვატიული ჟურნალი „ეკონომისტი“ აღნიშნავს, მოიყვანა დაძაბულობამ ნატოს წევრთა ურთიერთობაში.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ლონდონში რასკი წინანდებურად ეცდება „ამოგოზოს ბზარები“ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შენობაში, რომელიც ამ ბოლო დროს ძალზე შეირყა. რასკი აწარმოებს მოლაპარაკებას პრემიერ-მინისტრ მაკმილანთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ჰიუმთან, ბუქდის მცველ ლორდთან ჰიტთან და ინგლისის მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, დ. რასკი ინგლისში ჩამოვიდა, რათა აგრძნობინოს, რომ უფროსი პარტნიორი არ არის კმაყოფილი ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტით. რასკის ამოცანაა, აღნიშნავს „სანდი ექსპრესი“ მიმომხილველი, „ზეგავლენა მოახდინოს ინგლისის მთავრობაზე „საერთო ბაზრის“ პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ სისტემებში ინგლისის შესვლის საკითხში“.

ᲓᲔᲡᲐᲜᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲘᲠᲘᲐᲜᲨᲘ

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 25 ივნისი. (საკდესი). 100-ზე მეტი იდონეზიელი პატრიოტი გადასხდა დასავლეთ ირიანის სამხრეთ სანაპიროზე ქალაქ მარაუკის რაიონში, იუწყება დღეს ანტარის საააგენტო. გადასხმამ მშვიდობით ჩაიარა, თუმცა მარაუკში ჰოლანდიელთა მთელი გარნიზონი განგაშით ფეხზე დაიყენეს.

ᲕᲘᲜ ᲐᲥᲔᲖᲔᲑᲡ ᲩᲐᲜᲙᲐᲘᲨᲔᲚᲔᲑᲡ?

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 25 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება: შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს სამხედრო ძალიერების მორიგი პროვოკაციული დემონსტრაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაპირებთან. როგორც ამერიკას საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ამერიკის მეშვიდე ფლოტის სამხედრო ხომალდები, რომლებიც იაპონიის სამხედრო-საზღვაო ბაზებში არიან, სასწრაფოდ გადაჰყავთ ტაივანის სრუტეში.

ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის ჰონოლულუს მთავარ ბინაში განაცხადეს, რომ ხომალდების გადაყვანა წარმოებს იმისათვის, რომ გაძლიერონ ამერიკის სამხედრო-საზღვაო საპატრულო შენაერთები ტაივანის სრუტეში, უშუალოდ ფუძიანის პროვინციის რაიონში.

ამავე დროს ამერიკის პრესა იუწყება, რომ ჩანკაიშელი ლიდერები აშკარად მოუწოდებენ შეერთებულ შტატებს, მოგვეცით „მწვანე სიგნალი“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა თავდასხმისთვისო.

იუწყებიან, რომ ჩანკაიშელებმა სამხრეთიდან ჩრდილოეთ ტაივანში სადესანტო გემებით გადაიყვანეს მოიერიშე დივიზია.

ჩანკაიშელთა საეჭვო მოქმედება მიმდინარეობს არც თუ ამერიკის შეერთებული შტატების დაუკითხავად. სამ დღეს იყო ტაიბეიში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრის მოადგილე პ. ფეი. იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩან კაი-შისთან და ამერიკელ სამხედრო ხელმძღვანელებთან ტაივანში. გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ მექარის სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დ. ბოლმა.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲚᲝᲠᲒᲝᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲢᲘ მრავალდღიანი ველოსრბოლის მეორე ეტაპი ვიტომირ-როვნო იყო. ამ ურთულესი ეტაპის დისტანცია 186 კილომეტრს შეადგენდა. სპორტსმენებს სიცხეში უზდებოდათ ალმართების გადალახვა, ქროდა ძლიერი პირქარი.

კვლავ შესანიშნავად გამოვიდა ესტონელი ველომბრძოლი ვიარავასი. როგორც მისადგომებთან იგი წინ გაიჭრა და ფინიშთან პირველი მივიდა. გამარჯვებულის დროა 5 საათი, 26 წუთი და 14 წამი.

დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს წარმომადგენელს ს. კვინიკაძეს, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა ე. ნემიტოვი.

საშუალო სიჩქარეზე ეტაპზე საათში უდრიდა 35,6 კილომეტრს.

ორი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერია ა. ვიარავასი. გუნდურ ჩათვლაში წინ არის ლენინგრადის ველომბრძოლთა კოლექტივი. საქართველოს გუნდს მეხუთე ადგილი უჭირავს.

გუშინ ველომბრძოლებმა კურსი ლვოვისაკენ აიღეს. ეს არის მესაე ეტაპი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ კიდევ ერთი ფეხბურთელთა კოლექტივი გაათავისუფლა სსრ კავშირის თასისათვის ძებრძოლთა რიგებს. გუშინ ბაკოს „ხეფტიანიკის“ ფეხბურთელებმა დამარცხება გაუწიეს კიროვაბადში ადგილობრივ „დინამოსთან“ ანგარიშით 1 : 2.

„ᲡᲐᲛᲮᲠᲝᲜᲘᲙᲘ“-„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“

ᲒᲣᲨᲘᲜ ლენინგრადში გაიმართა საერთაშორისო მატი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტისა“ და იტალიის „სამპდორიას“ გუნდები. გაიმარჯვეს იტალიელებმა ანგარიშით 1:0.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ რედაქცია მოსკოვში ტელეფონით დაუკავშირდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის კალათბურთის ფედერაციას და სთხოვა ჩვენი ბკითხველებისათვის ეცნობებინათ კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მომავალი ფინალური მატჩის შესახებ უენევაში თბილისის „დინამოსა“ და მადრიდის „რეალის“ ვაჟთა გუნდებს შორის.

აი რა გვაცნობეს ეს:

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებიან. ისინი უენევაში გაფრინდებიან ხვალ, 27 ივნისს დილით. ცხადია, შეხვედრა, რომელიც ამ დღისათვის იყო დანიშნული, არ შედგება და გადატანილია.

თუ როდის გაიმართება ფინალური მატჩი, ამას ადგილზე გადაწყვეტენ გუნდების ხელმძღვანელები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ვფიქრობთ, რომ თამაში შედგება 29 ან 30 ივნისს.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲐ

27 ივნისი

18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის—ფილმი-ბალეტი „წითელქუდა“, 18.40 — კინონარკვეგი, 19.00 — გადაცემა — „დიალომები და გაცდენილი წლები“, 19.15 — კინოჟურნალი, 19.30 — ტრანსლაცია კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისა „გადაჯაჭვულნი“. შესვენების დროს ახალი ამბები.

ᲠᲐᲓᲘᲝ

28 ივნისი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

08.30 — კნიპერი. საკონცერტო სიუიტა, ფელცმანი. რაფსოდია და ვალსი, 09.20 — სიმღერები ქალთა ანსამბლების შესრულებით. 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — სიმღერები მოსკოვზე, 11.00 — საუბარი: „ლედამიწის შინაგანი აგებულება და ფიზიკური თვისებები“, 11.15 — სმეტანა. სიმფონიური ციკლი „ჩემი სამშობლო“, 12.15 — ნ. მამისაშვილი. პრელუდები ფორტეპიანოსათვის, 12.45 — მოლდავური ხალხური სიმღერები, 13.40 — შოსტაკოვიჩი. საბალეტო სიუიტა, 17.20 — ნ. ნარმანიძე. საცეკვაო სუიტა, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „წიგნის თაროზე“, 18.05 — რუსული სიმღერები ხელოვნების ოსტატთა შესრულებით (ბ. მაქსაკოვა, ს. ლემეშევი და ა. პიროგოვი), 18.45 — ფრიდის საკონცერტო ფანტაზია სლოვაკურ და მორავიულ თემებზე, 19.15 — ჭართული ხალხური სიმღერები, 19.45 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი დღეების გმირები“, 20.20 — საუბარი — „საზოგადოებრივ პოლიტიკურ თემაზე“, 20.35 — ნაპრავნიკი. ოპერა „ლუბროვსკი“.

რედაქტორი

Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲛᲔᲔᲯᲧᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲣᲯᲧᲕᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ უხუცესმა იურისტებმაც კი თქვეს, რომ თავიანთი პრაქტიკის მანძილზე ჯერ ასეთი საქმე არ შეხვედრიათ. საქმე მართლაც უჩვეულოა. შემაზარზენი, შემაძრწუნებელი...

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სხდომა დილით 11 საათზე დაიწყო. ქვეყნდება საბრალდებულო დასკვნა. თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია აქვეყნებს საბრალმდებლო დასკვნას, რომელიც თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიპროკურატურაშია შედგენილი. დარბაზში გაისმა ქვითინი, ოშვიათია, რომ საბრალმდებლო დასკვნის კითხვის დროს დარბაზში ტირილი გაიგონოთ, ჯერ ხომ წინ არის სამსჯავრო გამოძიება. ვინ იცის, რა გამოირკვევა, როგორ წავა საქმე, რა მიმართულებით... მაგრამ ამ საქმეში გამოსარკვევი და დასადგენი თითქმის არაფერია. მოხდა დანაშაული საშინელი, ძნელად სათქმელი.

საბრალდებულო სკამზე ზის ახალგაზრდა კაცი ნიკოლოზ ტარტინსკი.

სარემონტო-სამშენებლო სახელოსნოს ხარატ ნიკოლოზ ტარტინსკის ახლობლები და თანამშრომლები იცნობენ როგორც ღვინისმოყვარულ და უწესრიგო ადამიანს. ის ერთხელ სასამართლეციც იყო ხულიგნობისათვის, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო რომ იგი ნამსახური იყო საბჭოთა არმიაში. რომ მისი ოჯახის წევრები პატიოსანი მშრომელი ხალხია, და სასჯელის ზომად პატიმრობა არ შეუფარდა. მაგრამ ტარტინსკიმ დასკვნა არ გააკეთა ამ ჰუმანური გადწყვეტილებებიდან, განაგრძო სისტემატური ლოთობა და თვითნებობა.

და ერთ დღეს, როცა ხან ერთ ადგილას დალია ღვინო და ხან მეორე ადგილას, მთვრალი შეხვდა თავისივე ამხანაგის რაფაელ კალოიანის ოთხი წლის გოგონას და გამოესაუბრა. ბავშვმა იცნო ტარტინსკი.

— კმფეტი გინდა, ბიძია? — უთხრა ბავშვს ბოროტმოქმედმა.

ასე გაიტაცა ოთხი წლის ბავშვი და გააუპატიურა, შემდეგ კი დაახრჩო. დაახრჩო და... თითქოს აქ არაფერიაო. შიხ მივიდა, შინაურებს ესაუბრა, საავადმყოფოში მწოლიარე ცოლის ამბავი გამოკითხა დედას, ეზოში გავიდა და მშვიდად დაძინება.

კალოიანების ოჯახში ბავშვის დაკარგვის გამო დიდი აურზაური შეიქმნა, მოიკითხეს პატარა გოგონა, აქეთ მიდგნენ, იქით მოდგნენ, მაგრამ. ბავშვი არსად ჩანდა, შეშფოთდნენ მშობლები, მეზობლები. ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ვიღაცამ თქვა, რუბენ კაჩარო